

შპს ფრენდლი ფაინანს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ფრენდლი ფაინანს ჯეორჯია

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

		2018	2017
	შენიშვნები		
შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	4	3,189,082	10,567,869
საპროცენტო ხარჯები	5	(2,879,609)	(2,849,675)
საერთო მოგება		309,473	7,718,194
სხვა შემოსავალი	6	1,920,405	257,869
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,409,926)	(2,746,378)
სხვა ხარჯები	8	(1,043,294)	(628,082)
ფინანსური დანახარჯები	9	(10,599)	(12,862)
რეზერვები	10	(2,127,621)	(16,838,324)
სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი		383,164	(2,486,343)
მოგება დაბეგვრამდე	11	(1,978,397)	(14,735,926)
მოგების გადასახადის ხარჯი	12	323,077	(2,031,986)
მიმდინარე წლის მოგება		(1,655,321)	(16,767,911)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		(20,076,740)	(3,308,829)
დივიდენდი		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		(21,732,061)	(20,076,740)

შპს ფრენდლი ფაინანს ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

		2018	2017	2016
შენიშვნები				
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	21	448,065	189,197	1,455,942
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,771,896	7,177,816	23,687,058
		3,219,961	7,255,518	25,143,000
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	14	78,838	161,115	49,202
		78,838	161,115	49,202
სულ აქტივები		3,298,798	7,416,633	25,192,202
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	18	808,963	760,064	723,934
გადასახდელი პროცენტი	15	2,952,821	-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	16	133,611	55,534	1,359
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი	19	12,695	46,390	6,259
		3,908,090	750,495	731,552
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხი არარეზიდენტისგან	17	20,872,769	26,492,878	25,600,370
		20,872,769	26,492,878	25,600,370
სულ ვალდებულებები		24,780,859	27,243,373	26,331,922
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		250,000	250,000	250,000
გაუნაწილებელი მოგება		(21,732,061)	(20,076,740)	(1,389,720)
		(21,482,061)	(19,826,740)	(1,139,720)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,298,798	7,416,633	25,192,202

შპს ფრენდლი ფაინანს ჯორჯია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2018	2017
მიმდინარე წლის მოგება	(1,978,397)	(14,735,926)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებით:		
არაფულადი ფინანსური დანახარჯები		
გადახდილი მოგების გადასახადი	(283,703)	(2,157,303)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	82,277	(111,913)
საინვესტიციო საქმიანობაზე მიკუთვნებული ფულადი ნაკადები:		
ცვლილებების საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)	4,979,281	14,881,121
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	160,393	(75,363)
დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებების ზრდა	(33,696)	40,131
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,926,155	(2,159,253)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ნასესხები სახსრების გადახდა	(2,667,287)	892,508
გაცემული დივიდენდები	-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,667,287)	892,508
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	258,868	(1,266,745)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	189,197	1,455,942
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	448,065	189,197
(ა) ფულადი სახსრებით გადახდილი ფინანსური დანახარჯები	10,599	12,862
(ბ) ფულადი სახსრებით გადახდილი მოგების გადასახადი	283,703	2,157,303
(გ) მოიცავს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეულ ზარალს	(383,164)	2,486,343

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაარსდა 2016 წელს საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, განსაზღვრული მეწარმეთა კანონის მიხედვით. 2016 წლიდან კომპანია ოპერირებდა საქართველოს ბაზარზე და ცდილობდა თავისი ადგილი დაემკვიდრებინა კონკურენტებს შორის.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქეებზე მოკლევადიანი სესხების გაცემას და კომპანიის შემოსავალი წარმოადგენდა გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი. კომპანიის სარეგისტრაციო მისამართი არის პეკინის 28, თბილისი 0101, საქართველო.

კომპანია სრულად ეკუთვნის 4 ფაინანსის ჰოლდინს. მთავარი დამფინანსებელი და კრედიტორი არის სწორედ ეს ჯგუფი. კომპანიის საქმიანობა სრულად დაფინანსებულია ჯგუფის წევრი კომპანიების მიერ.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სადრიცხო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), ეს ვალუტა არის კომპანიის ფუნქციონალური და ასევე წარმოდგენლობითი ვალუტა. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსების დახმარებით, რომლებიც 2018 წლისა და 2017 წლის ბოლოს არის შემდეგი:

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს პრინციპების დაშვებით და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების, ფინანსური ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ამონაგების აღიარება

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ : საპროცენტო შემოსავალი, რომელიც აღიარდება დარიცხვის მეთოდით სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად, ასევე გადავადების საკომისიო და პირგასამტეხლო, რომლებიც აღიარდება საკასო მეთოდით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

2016 და 2017 წლებში კომპანია ახდებდა სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ძირად კაპიტალიზებას, ხოლო 2018 წელს შეიცვალა ეს მიდგომა და აღნიშნული დანახარჯები საპროცენტო ხარჯის სახით აღიარებულია პერიოდის ხარჯად და ნაჩვენებია მოგება-ზარალის უწყისში.

მოგების გადასახადი

ვინაიდან კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ამასთანავე მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემა, საანგარიშო პერიოდში არსებული ძალაში მყოფი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ის ვალდებულია გაცემულ ძირზე დაარიცხოს, დაადეკლარიროს და

გადაიხადოს მოგების გადასახადი, რომელსაც გაცემული ძირების შემოსვლისას ჩაითვლის მიღებული თანხის პროპორციულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება დაგროვილი ცვეთის ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის აღრიცხვა ხდება ნარჩენ ღირებულებაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა - 20 პროცენტი

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში.

საფაქრო და სხვა მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადებით, რომელიც არ არის კორექტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კომპანია:

- აპირებს გაყიდოს დაუყოვნებლივ ან უახლოეს ვადებში;
- თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საფუძველზე;
- თავდაპირველი აღიარებისას, განსაზღვრავს როგორც გასაყიდად გამიზნული;
- შესაძლებელია ვერ აღიდგინოს არსებითად ყველა მისი საწყისი ინვესტიცია, გარდა კრედიტისა გაუარესება.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განკუთვნილია როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი, არ არის კლასიფიცირებული სესხებისა და დებიტორული დავალიანების სახით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ყველა კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. დივიდენდის გადახდის შეზღუდვა

კომპანიის შიდა პოლიტიკის მიხედვით არ აქვს რაიმე სახის შეზღუდვა დივიდენდების განაწილებაზე.

4. შემოსავალი

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	573,519	2,485,729
გადავადებისგან მიღებული შემოსავალი	1,854,895	6,912,778
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	760,668	1,169,362
	3,189,082	10,567,869

2018 წლის განმავლობაში შემოსავლების პუნქტი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც განპირობებულია სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებებით ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებით და ასევე იმ ფაქტით რომ, კომპანიამ შეწყვიტა სესხების გაცემა. რის გამოც კომპანიამ ვერ დააგენერირა დამატებით შემოსავლები, შედეგად შემოსავლების შემცირება დაფიქსირდა 2018 წელს.

5. საპროცენტო ხარჯები

	2018	2017
საპროცენტო ხარჯები	(2,879,609)	(2,849,675)
	(2,879,609)	(2,849,675)

საპროცენტო ხარჯის დარიცხვაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ვინაიდან კომპანიას არ განუხორციელებია რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოქმედებები 2018 წლის განმავლობაში.

6. სხვა შემოსავალი

	2018	2017
ჩამოწერილი აქტივებიდან მიღებული შემოსავალი	925,536	-
გაყიდული აქტივებიდან მიღებული შემოსავალი	743,959	110,291
შემოსავალი იჯარიდან	215,112	101,517
საპროცენტო შემოსავალი ბანკებიდან	27,677	46,061
სხვა შემოსავალი	8,121	-
	1,920,405	257,869

2018 წლის განმავლობაში კომპანია აქტიურად მუშაობდა ჩამოწერილ აქტივების დამუშავებაზე და ასევე პორტფელის გაყიდვაზე, შესაბამისად კომპანიის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩამოწერილი აქტივების დამუშავებიდან და ასევე პორტფელის რეალიზაციიდან.

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
შრომითი ანაზღაურება	(502,800)	(1,270,804)
იჯარა	(451,989)	(408,489)
აიტი დანახარჯები	(377,374)	(40,706)
კომუნალური გადასახადები	(45,305)	(50,703)
სარეკლამო ხარჯები	(20,669)	(616,878)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(11,789)	(358,798)
	(1,409,926)	(2,746,378)

2018 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა შრომითი ანაზღაურება, ვინაიდან 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიაში, რის შედეგადაც მოხდა შრომითი ანაზღაურების ხარჯების შემცირება.

2017 წლის განმავლობაში კომპანია აქტიურად პოზიციონირებდა ბაზარზე რეკლამირების საშუალებით, შესაბამისად 2017 წლის განმავლობაში სარეკლამო ხარჯი საგრძნობლად აღემატება 2018 წლის მონაცემებს.

8. სხვა ხარჯები

	2018	2017
სესხების დამუშავების ხარჯი	(754,039)	(376,844)
აპლიკაციების დამუშავების ხარჯი	(158,100)	(119,342)
ცვეთა	(83,013)	(15,912)
საოფისე ხარჯი	(20,386)	(74,253)
საკონსულტაციო მომსახურება	(10,383)	(26,629)
მივლინების ხარჯები	(6,975)	(11,732)
სხვა ხარჯები	(10,397)	(3,370)
	(1,043,294)	(628,082)

9. ფინანსური დანახარჯები

	2018	2017
საბანკო საკომისიო დანახარჯები	(10,599)	(12,862)
	(10,599)	(12,862)

10. რეზერვები

	2018	2017
ჩამოწერილი აქტივები	(9,927,995)	(63,135)
გაცემულ სესხებზე შექმნილი რეზერვები	7,800,374	(16,775,190)
	(2,127,621)	(16,838,324)

კომპანიას სრულად არ ჰქონდა ჩამოწერილი გარკვეული პორტფელი რომელიც ვადა გადაცილებაში იმყოფებოდა, შესაბამისად ამ სესხებზე შექმნილი რეზერვები 2017 წლის განმავლობაში საგრძნობლად მაღალია. 2018 წლის განმავლობაში მოხდა გარკვეული პორტფელის სრულად ჩამოწერა, რამაც გამოიწვია ჩამოწერილი აქტივების ბალანსის გაზრდა და რეზერვების უკუეფექტის მიღება.

11. მოგება დაბეგვრამდე

	2018	2017
შემოსავალი	3,189,082	10,567,869
საპროცენტო ხარჯები	(2,879,609)	(2,849,675)
საერთო მოგება	309,473	7,718,194
სხვა შემოსავალი	1,028,563	156,352
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,409,926)	(2,746,378)
სხვა ხარჯები	(1,043,294)	(628,082)
ფინანსური დანახარჯები	(10,599)	(12,862)
რეზერვები	(1,235,779)	(16,736,808)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	383,164	(2,486,343)
მოგება დაბეგვრამდე	(1,978,397)	(14,735,926)

12. მოგების გადასახადის ხარჯი

	2018	2017
მიმდინარე გადასახადი	323,077	(2,031,986)
	323,077	(2,031,986)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
მოთხოვნები კლიენტებისაგან	2,047,479	6,996,158
გაცემული სესხი დაკავშირებული მხარის მიმართ	-	109,319
მოთხოვნები დებიტორებისგან	97,138	37,720
ავანსად გადახდილი თანხები	627,280	15,565
მისაღები პროცენტი დაკავშირებული მხარისგან	0	19,054
	2,771,896	7,177,816

2018 წლის განმავლობაში მოთხოვნები კლიენტებისგან არის საგრძნობლად შემცირებული, რომელიც გამოწვეულია სესხების გაცემის შეწყვეტისგანაც.

14. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები და მოწყობილობა	სულ
1 იანვარი 2018	270,723	270,723
შემოსვლა	10,547	10,547
გასვლა	(22,512)	(22,512)
31 დეკემბერი 2018	258,758	258,758
1 იანვარი 2018	(109,608)	(109,608)
წლიური ცვეთა	(83,013)	(83,013)
გაუფასურება	-	-
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	12,700	12,700
31 დეკემბერი 2018	(179,921)	(179,921)
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2018	78,838	78,838

15. გადასახდელი პროცენტი

	2018	2017
გადასახდელი პროცენტი	2,952,821	-
	2,952,821	-

2017 წლის ბოლოს კომპანიამ კრედიტორთან შეთანხმების საფუძველზე მოახდინა გადასახდელი სესხის კაპიტალიზაცია.

16. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება

	2018	2017
უკუდაბეგვრის დღე	36,854	-
საშემოსავლო გადასახადი	40,896	-
საშემოსავლო გადასახადი	40,896	-
სხვა გადასახადები	55,860	55,534
	174,507	55,534

17. სესხი

	2018	2017
სესხი არარეზიდენტისგან	20,872,769	26,492,878
	20,872,769	26,492,878

18. სავაჭრო ვალდებულებები

	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლებთან	464,272	510,614
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	286,328	56,453
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	57,363	192,998
სულ	808,963	760,064

19. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი

	2018
ვალდებულება 2018 წლის 1 იანვრისათვის	46,390
დამატებითი დარიცხვა წლის განმავლობაში	423,867
გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	(457,562)
ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	12,695

20. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალში შენატანი შეადგენდა 250,000 ლარს. 2016 წლიდან მოყოლებული 2018 წლის ჩათვლით საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 250000 ლარს.

21. ფულადი სახსრები

	2018	2017
ფულადი სახსრები სალაროში	-	7
ფულადი სახსრები ბანკში	661,599	187,280
დეპოზიტი	20,511	1,910
სულ	682,110	189,197

22. სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2018	2017
მოგება სავალუტე გადაფასებიდან	2,220,531	-
ზარალი სავალუტე გადაფასებიდან	(1,837,367)	(2,486,343)
	383,164	(2,486,343)

23. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

	2018	2017
	მეკავშირე საწარმო	მეკავშირე საწარმო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,608	130,559
სესხი არარეზიდენტისგან	20,872,769	26,492,878
გადასახდელი პროცენტი	2,952,821	-
სავაჭრო ვალდებულებები	286,328	56,453

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა კომპანიის დირექტორმა და გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 სექტემბერს.

21. ფულადი სახსრები

	2018	2017
ფულადი სახსრები სალაროში	-	7
ფულადი სახსრები ბანკში	661,599	187,280
დეპოზიტი	20,511	1,910
სულ	682,110	189,197

22. სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2018	2017
მოგება სავალუტე გადაფასებიდან	2,220,531	-
ზარალი სავალუტე გადაფასებიდან	(1,837,367)	(2,486,343)
	383,164	(2,486,343)

23. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

	2018	2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მეკავშირე საწარმო 18,608	მეკავშირე საწარმო 130,559
სესხი არარეზიდენტისგან	20,872,769	26,492,878
გადასახდელი პროცენტი	2,952,821	-
სავაჭრო ვალდებულებები	286,328	56,453

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა კომპანიის დირექტორმა და გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 სექტემბერს.

